

პროექტი

საქართველოს კანონი

„შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №24(31), 1999 წელი, მუხლი 120).

მუხლი 2. კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები „შემოქმედებითი კავშირები,“ ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ დადგენილი წესით.

მუხლი 3. ამ კანონით დადგენილ ვადაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებული შემოქმედებითი კავშირების მიერ ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები გამოცხადდენ ლიკვიდირებულად კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

